

განათლების ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმები

სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრს“ განათლების ხარისხის განვითარების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად შემუშავებული აქვს განათლების ხარისხის განვითარების მექანიზმები. შიდა მექანიზმის სისტემა ძირითადად დაფუძნებულია პროფესიულ სტუდენტთა, სასწავლო პროცესის განმახორციელებელი პერსონალისა და დამსაქმებლის გამოკითხვის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე.

სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“ ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით მუშაობს საერთო PDCA პრინციპით: **P** – plan - დაგეგმვა; **D** – do - განხორციელება; **C** - check - შემოწმება; **A** – act - რეაგირება.

1. დაგეგმვა (plan) – დასახული ამოცანების შესასრულებლად უნდა დაიგეგმოს ჩასატარებელი სამუშაო და შემუშავებულ იქნეს სამუშაო გეგმა, რომელიც მოიცავს შესასრულებელ სამუშაოსა და მონიტორინგის ვადებს.

N	განსახორციელებელი სამუშაოების დაგეგმვა
1.	სასწავლო განრიგის შესაბამისობის დადგენა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების სასწავლო გეგმებთან.
2.	მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (მათ შორის, აუდიტორიების და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზის, ინვენტარის და სასწავლო პროცესისთვის აუცილებელი პირობების, კომპიუტერული ტექნიკის – კომპიუტერული პროგრამების და ინტერნეტის) მდგომარეობის შემოწმება და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით, პროფესიული საგანმანათლებლო და პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამებით გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასთან შესაბამისობის დადგენა.
3.	საბიბლიოთეკო წიგნადი ფონდის (სახელმძღვანელოების და სასწავლო მასალის ფიზიკური მდგომარეობა, რაოდენობა, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მოდულებთან, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამებთან შესაბამისობა) შემოწმება.
4.	ვებ-გვერდის მუშაობისა და ინფორმაციის გონივრულ ვადაში განახლების შემოწმება.
5.	მოდულის/სწავლის შედეგების საკონტაქტო საათებზე დასწრებისა და შედეგების დადასტურების მონიტორინგი.
6.	პროფესიული სტუდენტების/მსმენელების სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ვერიფიცირება
7.	პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების სტატისტიკური მონაცემების შეგროვება და გაანალიზება
8.	სასწავლო პროცესის, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების და მოდულების, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების მიმდინარეობის ხარისხისა და აქტუალობის მონიტორინგის მიზნით, პროფესიული სტუდენტების, მსმენელების, პროფესიული განათლების მასწავლებლების, ინსტრუქტორ-მასწავლებლებისა და დამსაქმებლების გამოკითხვის ჩატარება.

2. განხორციელება (do) - შემუშავებული გეგმის განხორციელების მიზნით ხარისხის მართვის მენეჯერი დაგეგმილ ვადებში ახდენს სასწავლო განრიგის პროფესიულ საგანმანათლებლო, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების გეგმებთან შესაბამისობის დადგენას, ამოწმებს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (მათ შორის, აუდიტორიების და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზის, ინვენტარის და სასწავლო პროცესისთვის აუცილებელი პირობების, კომპიუტერული ტექნიკის – კომპიუტერული პროგრამების და ინტერნეტის) მდგომარეობასა და კოლეჯში მოქმედი პროგრამებით გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასთან შესაბამისობას, ამოწმებს საბიბლიოთეკო წიგნად ფონდს (სახელმძღვანელოების და სასწავლო მასალის ფიზიკური მდგომარეობა, რაოდენობა, პროგრამების მოდულებსა და სწავლის შედეგებთან შესაბამისობა), ამოწმებს ვებ-გვერდის მუშაობასა და ინფორმაციის გონივრულ ვადაში განახლების პროცესს, მოდულისა და სწავლის შედეგების საკონტაქტო საათებზე დასწრებითა და შედეგების დადასტურების მონიტორინგით ამოწმებს მოდულის/სწავლის შედეგების შესაბამისობას კალენდარულ გეგმასთან და შედეგების დადასტურების მიმდინარეობის პროცესს; სასწავლო პროცესის მიმდინარეობის ხარისხისა და აქტუალობის მონიტორინგის მიზნით, ატარებს პროფესიული სტუდენტების, მსმენელების, პროფესიული განათლების მასწავლებლების, ინსტრუქტორ-მასწავლებლებისა და დამსაქმებლების გამოკითხვას.

3. შემოწმება (check) - შემოწმების/შეფასების შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზი, შესაბამისი დასკვნების გამოტანა, რეკომენდაციების შემუშავება და გასატარებელი ღონისძიებების განსაზღვრა. დასკვნების და რეკომენდაციების წერილობითი ფორმით წარდგენა ან/და ზეპირი პრეზენტაცია. შემოწმების/შეფასების ობიექტურობისა და ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით ან/და შემოწმების სფეროს სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლოა შეიქმნას მონიტორინგის ჯგუფი, რომელშიც შევლენ სათანადო კომპეტენციის მქონე თანამშრომლები ან/და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული პირები.

N	განსახორციელებელი სამუშაო	პერიოდი
1	<p>სასწავლო განრიგის შესაბამისობის დადგენა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების სასწავლო გეგმებთან.</p> <p>განრიგის არარსებობის ან ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში ეცნობოს სასწავლო პროცესის მენეჯერს, სასწავლო პროცესის მონიტორინგის სპეციალისტს, ზრდასრულთა განათლების კოორდინატორს; სასწავლო განრიგი პროფესიული სტუდენტებისთვის/მსმენელისათვის და ყველა დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის დაწყებამდე არა უგვიანეს სამი დღისა; სასწავლო ცხრილის პროფესიული საგანმანათლებლო, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის სასწავლო გეგმასთან ართანხვედრის აღმოჩენის შემთხვევაში, ეცნობება სასწავლო პროცესის მენეჯერს, სასწავლო პროცესის მონიტორინგის სპეციალისტს, ზრდასრულთა განათლების კოორდინატორს.</p>	<p>სასწავლო პროცესის დაწყებამდე (კონკრეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამაზე)</p>
2	<p>მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (მ.შ. აუდიტორიების და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზის, ინვენტარისა და სასწავლო პროცესისთვის აუცილებელი პირობების, კომპიუტერული ტექნიკის – კომპიუტერული პროგრამების და ინტერნეტის) მდგომარეობის შემოწმება და პროფესიული საგანმანათლებლო, პროფესიული</p>	<p>სასწავლო პროცესის დაწყებამდე (კონკრეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო,</p>

	<p>მომზადებისა და გადამზადების პროგრამებით გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასთან შესაბამისობის დადგენა.</p> <p>მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმართაობის ან სასწავლო პროცესისთვის ადეკვატური გარემოს არარსებობის, ან შეუსაბამობის შემთხვევაში, ეცნობება ადმინისტრაციას და დირექტორს მდგომარეობის გამოსწორების მიზნით.</p>	<p>პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამაზე) და საჭიროებისამებრ, სასწავლო წლის განმავლობაში</p>
3	<p>საბიბლიოთეკო წიგნადი ფონდის (სახელმძღვანელოების და სასწავლო მასალის ფიზიკური მდგომარეობა, რაოდენობა, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მოდულებთან, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამებთან შესაბამისობა) შემოწმება.</p> <p>დაზიანებული, დაკარგული და გამოუსადეგარი წიგნების ჩამოწერის და ახალი სახელმძღვანელოების შეძენის აუცილებლობის, წიგნადი ფონდის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მოდულებთან, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამებთან შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში, ეცნობება ბიბლიოთეკარსა და დირექტორს.</p>	<p>სასწავლო პროცესის დაწყებამდე (კონკრეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამაზე)</p>
4	<p>ვებ-გვერდის მუშაობის და ინფორმაციის გონივრულ ვადაში განახლების შემოწმება.</p> <p>ვებ-გვერდზე მოძველებული ან არასრული ინფორმაციის შემთხვევაში, გონივრულ ვადებში ხარვეზის გამოსწორების მიზნით, ეცნობება ქსელის ადმინისტრატორსა და დირექტორს.</p>	<p>სასწავლო წლის განმავლობაში</p>
5	<p>მოდულის/სწავლის შედეგების საკონტაქტო საათებზე დასწრებისა და შედეგების დადასტურების მონიტორინგი.</p> <p>მოდულის/სწავლის შედეგების საკონტაქტო საათებსა და შედეგების დადასტურებაზე დასწრებისას მოწმდება მოდულის/სწავლის შედეგების კალენდარული გეგმის მიხედვით წარმართვა და შედეგების დადასტურების მიმდინარეობის გამჭვირვალე პროცესი, ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან/ინსტრუქტორ-მასწავლებლებთან ტარდება საკონსულტაციო შეხვედრები.</p>	<p>სასწავლო პროცესის განმავლობაში</p>
6	<p>პროფესიულ სტუდენტების/მსმენელების სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ვერიფიცირება.</p> <p>ვერიფიკაციის შედეგად მოწმდება სწავლის შედეგების შეფასების პროცესის სანდოობა, ვალიდურობა, გამჭვირვალეობა და სამართლიანობა.</p>	<p>პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემის ვერიფიცირება საშემოდგომო და საგაზაფხულო მიღების გამოცხადებამდე 1 თვით ადრე, შეფასების სისტემის ვერიფიცირება - პროგრამის დასრულებამდე</p>
7	<p>პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების სტატისტიკური მონაცემების შეგროვება და გაანალიზება.</p> <p>პროფესიულ სტუდენტთა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების უწყვეტი დიაგნოსტიკა და მონაცემების ანალიზი სასწავლო პროცესში</p>	<p>6 თვეში ერთხელ</p>

	გამოვლენილი ხარვეზების კორექტირების მიზნით, სწავლის შედეგების გაუმჯობესება, შეფასების ინსტრუმენტის ვალიდურობის მონიტორინგი და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება.	
8	<p>სასწავლო პროცესის, პროფესიული საგანმანათლებლო საგანმანათლებლო პროგრამების და მოდულების, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების მიმდინარეობის ხარისხისა და აქტუალობის მონიტორინგის მიზნით, პროფესიული სტუდენტების, მსმენელების, პროფესიული განათლების მასწავლებლების, ინსტრუქტორ-მასწავლებლებისა და დამსაქმებლების გამოკითხვის ჩატარება.</p> <p>გამოკითხვის შედეგად მოწმდება პროფესიული სტუდენტის/მსმენელის კმაყოფილების კვლევა სასწავლო პროცესის ხარისხის, პროგრამის აქტუალობისა და პროგრამების განმახორციელებლებთან დაკავშირებით, ასევე დამსაქმებლებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების, ინსტრუქტორ-მასწავლებლების კმაყოფილების კვლევა სასწავლო პროცესის ადმინისტრირებასა და პროგრამების აქტუალობასთან დაკავშირებით. პრობლემის იდენტიფიცირების შემთხვევაში ტარდება საკონსულტაციო შეხვედრები პროფესიულ სტუდენტებთან, მსმენელებთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, ინსტრუქტორ-მასწავლებლებსა და დამსაქმებლებთან.</p>	სასწავლო პროცესის განმავლობაში (კონკრეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამაზე)

4. რეაგირება (act) - შიდა შეფასება მიმართულია ძლიერი მხარეების გამოსაკვეთად, სუსტი მხარეების და არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად და ტარდება სწავლის/სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის, გაუმჯობესების, განვითარებისა და დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. რეაგირებისა და გადაწყვეტილების მიღების თვალსაზრისით, შეფასების ერთ-ერთ საკვანძო და მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს მონიტორინგის შედეგების ანალიზი, რომლის ერთ-ერთი უმთავრესი კომპონენტია კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ ჩატარებული ე.წ. SWOT-ანალიზი. SWOT-ანალიზი გულისხმობს შიდა გარემოს გამოკვლევას ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენის საფუძველზე შესაძლებლობების, საფრთხეების და რისკების განსაზღვრას გარე ფაქტორების ზემოქმედების შედეგად.

SWOT ანალიზი

შიდა გარემო	ძლიერი მხარეები - Strengths	სუსტი მხარეები - Weaknesses
		•
გარე ფაქტორები	შესაძლებლობები - Opportunities	საფრთხეები, რისკები - Threats
	•	•